საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 18 06/05/2019

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩაზე (რიყე) მდებარე 1455 კვმ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.01.31.369.) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 122–ე მუხლის ე-4 და მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩაზე (რიყე) მდებარე 1455 კვმ. არასასოფლო - სამეურნეოს დანიშნულების მიწის ნაკვეთი **(ს/კ 36.01.31.369.)** 30 წლის ვადით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადასცეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შემდგომში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობის მიზნით.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე